

## ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2003 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის

### ა ნ გ ა რ ი უ ი

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში არის 9 სამეცნიერო განყოფილება: ალგებრის, გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების, მათემატიკური ფიზიკის, დრეკადობის მათემატიკური თეორიის, თეორიული ფიზიკის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის, სამეცნიერო ინფორმაციის.

2003 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ინსტიტუტში ირიცხება 84 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის 39 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (4 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი) და 40 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. გარდა ამისა, ინსტიტუტში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 31 მეცნიერი თანამშრომელი.

ინსტიტუტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2003 წლის გეგმის მიხედვით მუშავდებოდა 16 სამეცნიერო თემა. 2003 წელს დასრულდა მუშაობა 7 თემაზე, მათ ნაცვლად წარმოდგენილია 7 ახალი თემა. დანარჩენ 9 თემაზე მუშაობის გაგრძელება გათვალისწინებულია შემდეგი წლებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით ინსტიტუტში 2003 წელს მუშავდებოდა 15 სამეცნიერო თემა. ყველა თემაზე მუშაობა დასრულდა 2003 წელს.

2003 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა აგრეთვე უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო თემები.

#### 1. ძირითადი სამეცნიერო შედეგების მოკლე დახასიათება

1.1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2003 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები

##### მათემატიკური ანალიზი

მიღებულია ახალი ორწონიანი უტოლობები  $S^1$ -დისტრიბუციების ჩარჩოში განსაზღვრული ფურიეს გარდაქმნებისათვის. დადგენილია წონათა წყვილისათვის ოპტიმალური პირობა იმისა, რომ ზოგადი ფურიეს მულტიპლიკატორი იყოს შემოსაზღვრული ერთი წონიანი ლიზორკინ-ტრიბელის სივრციდან მეორეში [23,64].

მიღებულია პოტენციალთა წონიანი სივრცის სრული დახასიათება და დადგენილია შებრუნების ფორმულა [66].

უარყოფილია ნ. ბარის ერთი ჰიპოთეზა ტრიგონომეტრიული მწკრივების ერთადერთობის პრობლე-მასთან დაკავშირებით [95].

დადგენილია სინგულარული ინტეგრალური ოპერატორებისა და პოტენციალების შემოსაზღვრუ-ლობა ლორენცის ტიპის წონიან ბანახის სივრცეებში ცვლადი მაჩვენებლებით [71].

დადგენილია ერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული მაქსიმალური ფუნქციების შემოსაზღვრუ-ლობა ლებეგის სივრცეებში ცვლადი მაჩვენებლებით [140].

გამოკვლეულია გადასაცვლებების მიმართ ინვარიანტული სივრცეების დისკრეტიზაციისა და ანტი-დისკრეტიზაციის საკითხები [35].

დადგენილია, რომ მარჯვენა და მარცხენა ცალმხრივი მაქსიმალური ფუნქციები მხოლოდ ერთიდაი-მავდროულად შეიძლება იყვნენ ინტეგრებადნი [28].

მიღებულია ერგოდული მაქსიმალური ტოლობა როგორც სასრულ, ისე უსასრულო ზომიანი სივრ-ცეებისათვის [27].

კომპლექსური ანალიზის მეთოდებით შესწავლილია არაგლუვი წირებით შემოსაზღვრულ არეებში დირიხლეს ამოცანა, როდესაც სასაზღვრო ფუნქცია ეკუთვნის ზიგმუნდის ტიპის კლასებს. დადგენი-ლია ამოხსნადობის სრული სურათი და არსებობის შემთხვევაში დაწერილია ამონახსნები [65,67].

წრფივი შეუღლების ამოცანაში მოძებნილია კოეფიციენტისათვის ოპტიმალური პირობა იმისათვის, რომ ამოცანა ნებისმიერი ჯამებადი მარჯვენა მხარისათვის ამოხსნადი იყოს კოშის ტიპის ინტეგრა-ლებით წარმოდგენად ანალიზურ ფუნქციათა კლასებში [65].

## დიფერენციალური განტოლებები

გამოკვლეულია ორწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანები არაინტეგრებადი სინგულარობების მქონე მეორე და მაღალი რიგის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის. კერძოდ, დადგენილია გარკვეული აზრით თბტიმალური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ამოცანების ამონხნადობას, ცალსახად ამონხნადობასა და ამონახსნის მდგრადობას განსახილველი განტოლებების მარჯვენა მხარეების მცირე შეშფოთებების მიმართ. მეორე რიგის განტოლებებისათვის ზუსტად არის აღწერილი ორწერტილოვან ამოცანათა “ამონხნადობის ზონები” [63,147].

არსებითად არაწრფივი ორგანზომილებიანი დიფერენციალური სისტემებისათვის მიღებულია არაწრფივ სასაზღვრო ამოცანათა ამონხნადობისა და ცალსახად ამონხნადობის საკმარისი პირობები [148].

დადგენილია ორწერტილოვან სასაზღვრო ამოცანათა ამონხნადობის პირობები არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა ისეთი ორგანზომილებიანი სისტემებისათვის, რომელთაც გააჩნიათ არაინტეგრებადი სინგულარობები ფაზური ცვლადების მიმართ [88].

მეორე რიგის წრფივი და არაწრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის ნაპოვნია დირიხლეს ამოცანის ცალსახად ამონხნადობის არაგაუმჯობესებადი პირობები [163].

შესწავლილია მაღალი რიგის ფუნქციონალურ დიფერენციალურ (საზოგადოდ არაწრფივ) განტოლებათა ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა. კერძოდ, დადგენილია საკმარისი პირობები იმისა, რომ მოცემულ განტოლებას გააჩნდეს ე. წ. A თვისება. ამასთან, მიღებული შედეგი ახალია წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისთვისაც [152].

მეორე რიგის ჰიპერბოლურ სისტემათა ერთი კლასისათვის განხილულია სასაზღვრო ამოცანები კონუსურ არეებში. იმის მიხედვით, თუ რა ორიენტაციისაა კონუსური არის საზღვარი, შემოთავაზებულია სასაზღვრო ამოცანათა კორექტულად დასმის მეთოდიკა [141].

კვაზიწრფივ პარაბოლურად გადაგვარებადი ჰიპერბოლურ განტოლებათა ერთი კლასისათვის გამოკვლეულია ზოგადი ინტეგრალების წარმოდგენადობის საკითხი თავისუფალ ფუნქციათა იმ რაოდენობით, როგორიცაა განტოლების რიგი. უმარტივეს შემთხვევაში დადგენილია ურთიერთცალსახა თანადობა განტოლებასა და მის ზოგად ამონახსნთა შორის [40].

ორწახნაგა კუთხეში მესამე რიგის დომინირებული უმცროს წევრებიანი წრფივი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის შესწავლილია დარბუს ტიპის ზოგადი სასაზღვრო ამოცანა. წონიან ბანახის სივრცეში დამტკიცებულია ამოცანის ცალსახა ამონხნადობა. გამოკვლეულია დასმული ამოცანის ამონხნადობაზე განსახილველი განტოლების მახასიათებელ მრავალსახეობათა მიმართ ორწახნა კუთხის წიბოს გეომეტრიულ განლაგებაზე დამოკიდებულების საკითხი [45].

ელიფსური სასაზღვრო ამოცანებისათვის განხილულია პროექციულ-იტერაციული მეთოდები. მიღებულია ცდომილების შეფასება [21].

მუდმივკოეფიციენტებიანი მეორე რიგის ელიფსური განტოლებისათვის განხილულია არალოკალური სასაზღვრო ამოცანა ინტეგრალური შეზღუდვით. დამტკიცებულია სუსტი ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა წონიან სობოლევის სივრცეში. აგებულია და გამოკვლეულია შესაბამისი სწვაობიანი სქემა [7].

შესწავლილია მცირე გადახრის მქონე პოლინომის აგების მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი სწვადასწვა ტიპის ჩებიშევის ამოცანის გადასაწყვეტად [13].

მიღებულია დადებითად განსაზღვრულ მატრიც-ფუნქციათა ფაქტორიზაციის მოდიფიცირებული ალგორითმი, რომლის გამოყენება რაციონალურ ფუნქციათა შემთხვევაში მნიშვნელოვნად ამცირებს გამოთვლების რაოდენობას [30].

## მათემატიკური ფიზიკა და დრეკადობის მათემატიკური თეორია

ერთგვაროვანი ანიზოტროპული გარემოსთვის გამოკვლეულია დრეკადობის კლასიკური თეორიისა და მომენტური დრეკადობის თეორიის ბზარის ტიპის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები. დამტკიცებულია არსებობისა და ერთადერთობის თეორემები ბესოვისა და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. მიღებულია ბზარის საზღვრის მიდამოში გადაადგილებების და ძაბვების განაწილების სრული ასიმპტოტიკური ფორმულები [16,115].

მათემატიკური ფიზიკის ბზარის ტიპის ამოცანებში შესწავლილია ის შემთხვევა, როდესაც სასაზღვრო ამოცანის (არაგლუვი) საწყისი სასაზღვრო მონაცემები უშვებენ ბზარის საზღვრის გასწვრივ ასიმპტოტიკურ გაშლას და ამ შემთხვევისათვის გამოთვლილია ამონახსნის ზუსტი ასიმპტოტიკა ბზარის საზღვრის მახლობლობაში. ამ კვლევისთვის გამოყენებული ტექნიკით ასევე შესწავლილია ზოგი-

ერთი კვაზიწრფივი განტოლებების (მათ შორის ფონ კარმანის განტოლების) ამონახსნთა ასიმპტოტიკები [1,53].

გამოკვლეულია სკალარული ცვლადკოეფიციენტებიანი განტოლებისთვის დასმული შერეული სასაზღვრო ამოცანა, რომელიც დაიყვანება ისეთ ინტეგრალურ ან ინტეგროდიფერენციალურ განტოლებას, რომელიც ერთდროულად შეიცავს მოცულობით და ზედაპირულ ინტეგრალურ ოპერატორებს. დამტკიცებულია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. მიღებულია ამონახსნის ასიმპტოტური გაშლა სასაზღვრო მონაცემთა ტიპის ცვლის წირის მიდამოში [113].

გამოკვლეულია დრეკად სიბრტყეში სასრული სიგრძის სწორხაზოვანი ბზარის მუდმივი და ცვლადი სიჩქარეებით გავრცელების ანტიბრტყეული ამოცანა. ფურიე-ლაპლასის გარდაქმნების გამოყენებით ამოცანის შესწავლა მიყვანილია ორგანზომილებიან ინტეგრალურ განტოლებას, რომლის გული არგუმენტთა სხვაობაზეა დამოკიდებული. ნაწილობრივი ფაქტორიზაციის გამოყენებით ამოცანა მიყვანილია ვოლტერას ტიპის ორგანზომილებიან ამოცანას. მიმდევრობითი მიახლოებით აგებულია მიახლოებითი ამონახსნი. მიღებულია დრეკადი სიბრტყის სოლით გაჭრის ამოცანის ამოხსნა [104]. შესწავლილია კუთხის ფორმის მქონე სხეულის საზღვარზე ცვლადი სინისტის ძელით დაწნევის ამოცანა [106]. შესწავლილია დრეკადობის ბრტყეული თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი შერეული ამოცანა [105].

მიღებული დაზუსტებული განტოლებების გამოყენებით გამოკვლეულია ცილინდრულთან მახლობელი ბრუნვითი გარსების თავისუფალი რხევები და დინამიკური მდგრადობა. ვუშვებთ, რომ გარსზე მოქმედებს ნორმალური წნევა და საზღვარზე მოქმედი პერიოდული პერიდიანული ძალები. ნახვენებია, რომ ცილინდრული ფორმისაგან მცირე გადახრები გაუსის სიმრუდის ნიშნის მიხედვით არსებითად ცვლიან უმცირეს სინშირეებს და დინამიკური არამდგრადობის არეების საზღვარს. განხილულია პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი რიცხვითი მაგალითები [74,153,154].

გამოკვლეულია დრეკადი ანიზოტროპული კუთხის ფორმის მქონე ფირფიტისა და ცვლადი ღუნვითი სინისტის მქონე დრეკადი ძელის ურთიერთქმედების საკონტაქტო ამოცანა. ძელზე მოქმედებს ნორმალური დატვირთვა და მისი სინისტე იცვლება ხარისხოვანი კანონით. ძაბვების განაწილება ფირფიტაში და ძელის ჩაღუნვები გამოისახებიან სამიხეობიანი ნორმალური საკონტაქტო ძაბვების საშუალებით. ამ ძაბვების საბოლოოდ ამოცანა დაიყვანება ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გადაადგილებიან სასაზღვრო ამოცანას. მიღებულია ამოცანის ზუსტი ამონახსნები, გამოკვლეულია ნორმალური საკონტაქტო ძაბვების ყოფაქცევა ძელის ბოლოებში (როგორც კუთხის წვერის მახლობლობაში, ასევე უსასრულობაში) სინისტის ცვლილებების კანონთან მიმართებაში. მიღებულია კონკრეტული შედეგები კუთხის გაშლის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის, აგრეთვე ორთოტროპიისა და იზოტროპიის შემთხვევებში [106].

შესწავლილია დრეკადობის ბრტყეული თეორიის ერთი შებრუნებული ამოცანა ანიზოტროპული სხეულისათვის უცნობსაზღვრიანი ზვრელით. მოითხოვება, რომ ზვრელის საზღვარზე მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი იყოს მუდმივი. კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიისა და კონფორმული გადასახვის მეთოდის გამოყენებით ამოცანა მიყვანილია სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებასზე გადაადგილებით [101].

შესწავლილია დრეკადობის ბრტყეული თეორიის შერეული საკონტაქტო ამოცანა დრეკადი ანიზოტროპული ნახევარსიბრტყისათვის, რომლის საზღვრის ერთ მონაკვეთზე დაკრულია თანაბარი წინააღმდეგობის მქონე დრეკადი ღერო, ხოლო მეორეზე მოქმედებს უცნობფუძიანი ხისტი შტამპი, რომელიც ახორციელებს თანაბარ დაწოლას დრეკად ნახევარსიბრტყეზე [126].

გაფართოებულია ფილტრაციის თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ეფექტურად ამოხსნადი ამოცანების კლასი. ამ გზით ამოხსნილია ტრაპეციის ფორმის მიწის კაშხალში ფილტრაციის თეორიის უცნობსაზღვრიანი (ექვსი განსაკუთრებულწერტილიანი) ამოცანები [97,99,169].

შესწავლილია მეორადი პერიოდული რეჟიმების წარმოქმნა სიმეტრიის მქონე დინამიურ სისტემებში. დადგენილია კვაზიპერიოდული რეჟიმები, რომლებიც წარმოიქმნებიან ორი სხვადასხვა მიმართულებით მბრუნავ ფორთვან ცილინდრს შორის მეორადი დინებების ბიფურკაციების შედეგად [151].

#### ალგებრა და ტოპოლოგია

დადგენილია კავშირი ნახევრადმოდულების ტაკანაშის გაფართოებებისა და მოდულების აილენბერგ-მაკლეინის კლასიკურ გაფართოებებთან [89].

შემოტანილია ჯაჭვური ფუნქტორების კატეგორიაში ფიბრაციის, კოფიბრაციის და სუსტი ექვივალენტობის ცნებები. შესწავლილია ამ კატეგორიაზე მოდულ სტრუქტურის არსებობის საკითხი [6].

შესწავლილია ექვივალენტობა და შეუღლება N-კატეგორიებში [165].

შემოტანილია სქემების წმინდა მორფიზმის ცნება და დამტკიცებულია, რომ სქემების კვაზი-კომპაქტური მორფიზმი არის ეფექტური დაწვევის მორფიზმი კვაზი-კოჰერენტული მოდულების მიმართ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არის წმინდა [162].

აღწერილია კოდაწვევის მორფიზმები ამაღლამირების თვისების მქონე რეგულარულ კატეგორიებში. დამტკიცებულია, რომ ჯგუფების ყოველი კოდაწვევის მორფიზმი ეფექტურია [100,170].

აგებულია სინგულარული პერმუტაციური ჯაჭვური კომპლექსი და მისი მეშვეობით აგებულია  $K(\pi, n)$  სივრცის პერმუტაციური მოდელი [107].

ბიალგებრის ბარ კონსტრუქციაში აგებულია ჰომოტოპიური  $G$ -ალგებრის სტრუქტურა [135].

აგებულია პერმუტაციური დონიანი ნამრავლები და მოცემულია მისი ზოგიერთი გამოყენება [166].

დამტკიცებულია, რომ ყოველი გლუვი მრავალწილობა დიფეომორფულია რომელიმე კვადრატული ასახვის ფენისა [56].

ნაჩვენებია, რომ კვადრენტიონული პოლინომის ფესვთა სიმრავლის ეილერის მახასიათებელი უდრის მის ალგებრულ ხარისხს [57].

განსაზღვრულია წრფივი დინამიური სისტემების თანაკვეთის ცნება ისე, რომ მაკმილანის ხარისხი იძენს ადიციურობის თვისებას, და ამოხსნილია მართვის ერთი ზოგადი ამოცანა [157].

მიღებულია კლასიკური მარტივ ლის ალგებრათა კარგი გრადუირებების კლასიფიკაცია [119].

#### ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

მიღებულია მარტინგალური ზომების ძლიერი კრებადობის პირობები. სტოქასტური მართვის თეორიის შეთოდების გამოყენებით აღწერილია დისპერსია-მინიმალური და მინიმალური ენტროპიის მარტინგალური ზომები [82].

განხილულია უწყვეტი სემიმარტინგალი მცირე ხმაურით. აგებულია ჩანაცვლების კოეფიციენტში მყოფი უცნობი მრავალგანზომილებიანი პარამეტრის ოპტიმალური  $B$ -რობასტული შეფასება [77,78].

გვეტორული პოპულაციის სიმკვრივეთა ფართო კლასისათვის მახასიათებელ ფუნქციათა მეთოდით დადგენილია ემპირიული შერეული მომენტების სისტემის ვარიაციით კრებადობა ნორმალური განაწილებისაკენ. შესწავლილია კონსტანტების ყოფაქცევა ერთი გადაგვარებული მრავალგანზომილებიანი განაწილების მახასიათებელი ფუნქციის მოდულის შეფასებაში [94].

შემოტანილია ე. წ. პირობითი ბინომური პროცესი, რომელიც შედგენილია ჯამების წრფივ ფუნქციონალურად წარმოდგენის საშუალებას იძლევა და შესწავლილია ამ პროცესების უპირობო და მარტინგალური თვისებები [168].

#### ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა; ველის კვანტური თეორია; კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა

სინათლის ფრონტის ცვლადებში შესწავლილია  $p$ -მეზონების სპექტრალური ნახევრადცენტრალური  $CC$  და  $CT$  ურთიერთქმედებები  $4.2 \text{ GeV}/c$  ნუკლონზე საწყისი იმპულსის დროს. ფაზური სივრცე დაყოფილია პიონიზაციის და ფრაგმენტაციის არეებად. პიონიზაციის არეში დადგენილია გამომავალი  $p$ -მეზონების ტემპერატურა [17,18].

შესწავლილია ეინშტეინ-იანგ-მილსის თეორია უარყოფითი კოსმოლოგიური მუდმივით. ნაჩვენებია, რომ არსებობს პარამეტრების არეები არასტაბილური მოდების ნებისმიერი რიცხვით  $0, 1, 2, \dots$ , ანუ სტაბილური (მონოპოლების ტიპის) ერთი უარყოფითი მოდით (სფალერონული ტიპის) და ა. შ. [110].

შესწავლილია ლიუვილის თეორიის  $S$ -მატრიცა. გამოთვლილია არეკვლის ამპლიტუდა ვაკუუმური მდგომარეობისათვის. ოპერატორული განტოლების ანალიზით ნაჩვენებია  $S$ -მატრიცის ბლოკური სტრუქტურა და გამოთვლილია ბლოკის კოეფიციენტები პირველი და მეორე დონისთვის [49,134].

ფორმულირებულია სინათლის ფრონტის შესაბამისი თერმული ველების თეორია და ნაჩვენებია მისი და სტანდარტული თეორიის ექვივალენტობა. გამოყვანილია შეშფოთების ყალიბურად ინვარიანტული თეორია ბმულ მდგომარეობათა დენებისათვის [155,156].

დამუშავებულია ახალი რენორმ-ინვარიანტული დისპერსიული მიდგომა კვანტურ ქრომოდინამიკაში. დამუშავდა ამ მიდგომის მათემატიკური აპარატი. გამოყვანილია პრაქტიკული ფორმულები დისპერსიული შეშფოთების თეორიის ფუნქციონალური (არახარისხოვანი) მწკრივების უნივერსალური ბაზისური ფუნქციების გამოსათვლელად გადანორმვის მინიმალური გამოკვლების სქემაში. ფორმულები

მიღებულია როგორც რენორმჯგუფის განტოლების ლამბერტ-W ამონახსნების გამოყენებით, ისე სტანდარტული ასიმპტოტიკური ამონახსნების საფუძველზე [73,158].

განხილულია იანგ-მილსის  $SU(2)$  მოდელი ნებისმიერი თეტა-კუთხით. ნაპოვნია ბმების გარეშე სისტემის წარმოდგენა თვითქმედი  $3 \times 3$  მატრიცული ველის სახით. მიღებულია არაწრფივი სიგმა-მოდელი, სადაც ბონტრიაგინის ტოპოლოგიური წევრი დაიყვანება ჰოპფის ინვარიანტზე ვაითჰედის ფორმით. კომპიუტერული ალგორითმი გამოყენებულია მექანიკური მოდელის ჰამილტონური ანალიზისათვის. მოდელი ემყარება იანგ-მილსის  $SU(2)$  თეორიას სინათლის კონუსის ფორმალიზმში [61,122,123].

დადგენილია არაკომუტაციურ სიბრტყეში ფართის გარდაქმნის წესი. არაკომუტაციური ფართის შემნახველი გარდაქმნები წარმოადგენენ კლასიკური სიმპლექტური გარდაქმნების კვანტურ დეფორმაციებს. ფართის შენახვის პირობა წარმოადგენს ყალიბური თეორიის ველის განტოლებას. განხილულია მალაღვანზომილებიანი განზოგადოება და ნაპოვნია შესაბამისი ალგებრული სტრუქტურა [26].

არაკომუტაციური პუასონის ალგებრის შემთხვევაში განსაზღვრულია პუასონის ქვემრავალნაირობა და შესაბამისი ფოლიაცია. შესწავლილია ბოტის ბმულობა არაკომუტაციური პუასონის ალგებრის შემთხვევაში და დადგენილია მისი კავშირი სხოტენის ფრენილთან. შესწავლილია ჩამოყალიბებული ფორმალიზმის გამოყენება კომპლექსური ფიბრაციის ენდომორფიზმების ალგებრის შემთხვევაში. გაკეთებულია პუასონის სტრუქტურების სრული კლასიფიკაცია ვექტორული ფიბრაციის ენდომორფიზმების ალგებრის შემთხვევაში. აღწერილია შესაბამისი პუასონის ქვემრავალნაირობები და პუასონის ფოლიაცია. დადგენილია მისი კავშირი იანგ-მილსის ფუნქციონალის სინგულარობებთან და შესაბამის მორსის თეორიასთან [34,124].

## 1.2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით შესრულებული სამუშაოები

პროექტი № 1.1.02 – უწყვეტ ტანთა მექანიკის ორგანზომილებიანი შერეული სასაზღვრო ამოცანები, ფაქტორიზაციის ამოცანები და მათი გამოყენება

ნაწილობრივი ფაქტორიზაციის გამოყენებით შესწავლილია ვოლტერას ტიპის ნახვევის განტოლებები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ამოხსნილია ორთოტროპული ნახვევარსიბრტყის საზღვარზე ცვლადი სინქარით მოძრაობის შტამპის ამოცანა, როდესაც ხახუნი არის გათვალისწინებული.

განხილულია ისეთი შეკრული ბრუნვითი გარსები, რომელთა მსახველი პარაბოლური ფუნქციით არის წარმოდგენილი, ამასთან განხილულია აგრეთვე სასრული სიგრძის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გაუსის სიმრუდის მქონე გარსები. მიღებულია ფორმულები მინიმალური სინშირეების და დინამიკური არამდგრადობის არეების საზღვრის დასადგენად [74,153,154].

შესწავლილია უსასრულო ანიზოტროპული ფირფიტის ღუნვის საკონტაქტო ამოცანა, როდესაც ფირფიტა გამყარებულია ცვლადი სინისტის სასრული ჩართვით. ამოცანა ამოხსნილია ცხადი სახით და გამოკვლეულია უცნობი გადაძვრელი ძალის ნახტომის ყოფაქცევა ჩართვის ბოლოების მახლობლობაში [93].

განხილულია უწყვეტად არაერთგვაროვანი ნახვევარსიბრტყის საზღვარზე ხისტი შტამპის დაწოლის ამოცანა, როცა პუასონის კოეფიციენტი ერთ-ერთი არგუმენტის ტრიგონომეტრიული ფუნქციაა. ამოცანები ამოხსნილია ცხადი სახით წრფივი შეუღლების ამოცანაზე მიყვანით ფურიესა და კოშის ტიპის ინტეგრალებში.

გამოკვლეულია და ამოხსნილია ფილტრაციის თეორიის ორგანზომილებიანი ნაწილობრივ უცნობ-საზღვრიანი ამოცანები, როდესაც საზღვარი შეიცავს არააცილებად და აცილებად განსაკუთრებულ წერტილებს. კონკრეტულად ამოხსნილია ტრაპეციის ფორმის მიწის კაშხლისათვის ფილტრაციის თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანები [98].

პროექტი № 1.2.02 – სივრცეებისა და ფიბრაციების ალგებრული მოდელები და წინააღმდეგობათა თეორია

აღწერილია გზათა სივრცის ფიბრაციის პრედიფერენციალის გამოთვლის მეთოდი [109].

აგებულია მულტიპლიკატურ გრენილ ტენზორულ ნამრავლთა თეორია [108].

აგებულია კუბური სიმრავლეებიდან პერმუტაციულ სიმრავლეებში მგრეს ასახვათა თეორია, რომლის საშუალებითაც აგებულია იტერირებულ მარყუჟთა სივრცეებისა და იტერირებულ გზათა სივრცეების მოდელები [137].

კუბის სიმპლექსებად დაჭრის სტანდარტული კონსტრუქცია ფორმალიზებულია ფუნქტორად, რომელიც კუბურ სიმრავლეს შეუსაბამებს სიმპლიციალურ სიმრავლეს ჰომომორფული რეალიზაციით [51].

მოცემულია ტრანსფერის გამოთვლის მეთოდი [5].

აგებულია პერმუტაციული სიმრავლის წარმომქმნელი კატეგორია, განვითარებულია ე. წ. კონფიგურაციულ მატრიცთა თეორია [166].

პროექტი № 1.3.02 – მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის გამოკვლევა პოტენციალთა და ვარიაციული უტოლობების მეთოდით

პიზოელექტრული სხეულებისთვის გამოკვლეულია ბზარის ტიპის დირისლეს (ბზარის ზედაპირზე მოცემულია გადაადგილება და ელექტრული პოტენციალი), ნეიმანის (ბზარის ზედაპირზე მოცემულია მექანიკური ძაბვა და ელექტრული ველის ინდუქცია) და შერეული (ბზარის ერთ ზედაპირზე მოცემულია გადაადგილება და ელექტრული პოტენციალი, ხოლო მეორე ზედაპირზე – მექანიკური ძაბვა და ელექტრული ველის ინდუქცია) სამგანზომილებიანი ამოცანები. პოტენციალთა თეორიისა და ფსევდოდოფერენციალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით მიღებულია არსებობისა და ერთადერთობის პირობები ბესოვისა და ბესელის პოტენციალთა სივრცეებში. მიღებულია გადაადგილებების და ელექტრომექანიკური ძაბვების, ელექტრული პოტენციალისა და ელექტრული ველის ინდუქციის ბზარის საზღვრის მიდამოში განაწილების სრული ასიმპტოტიკური ფორმულები. აღსანიშნავია, რომ შერეული ტიპის ამოცანებში ქრება ოსცილიაცია, ხოლო ასიმპტოტიკის პირველი წევრის ხარისხის მაჩვენებელი ბევრ საინტერესო შემთხვევაში ითვლება ეფექტურად და ის დამოკიდებულია როგორც დრეკად, ასევე პიზოელექტრულ და დიელექტრიკულ მუდმივებზე [12].

შესწავლილია დრეკადობის მომენტური თეორიის სტატიკის გარე ამოცანა ერთგვაროვანი იზოტროპული დრეკადი სხეულებისათვის, როდესაც მთელ საზღვარზე ან მის ნაწილზე გათვალისწინებულია ხახუნის ეფექტი [33].

შესწავლილია სკალარული ელიფსური ოპერატორისათვის, აგრეთვე დრეკადობის კლასიკურ და მომენტურ თეორიაში სტატიკის განტოლებათა სისტემისთვის სინიორინის ამოცანა ანიზოტროპული არაერთგვაროვანი არეებისთვის. მოხერხდა მისი მიყვანა სასაზღვრო ვარიაციულ უტოლობაზე, რომელიც თავის მხრივ იძლევა შესაძლებლობას გამოვიკვლიოთ სინიორინის ამოცანები გარე არეებისათვის ერთგვაროვანი იზოტროპული სხეულების შემთხვევაში. სკალარული განტოლებისთვის დამტკიცებულია ამონახსნის ერთადერთობა, ხოლო დრეკადობის კლასიკური თეორიის სტატიკის განტოლებათა სისტემისთვის ერთადერთობის საკითხი ექვივალენტურად არის დაყვანილი გარკვეულ მაქსიმუმის ამოცანამდე დრეკადი სხეულისთვის, რომელსაც აქვს კონკრეტული ფიზიკური შინაარსი [32,121].

პროექტი № 1.4.02 – კვანტური დინამიკისა და ძირითადი მდგომარეობის პრობლემა კვანტური ველების თეორიისა და კვანტური სტატისტიკის ამოცანებში

შესწავლილია სინათლის ფრონტის ცვლადების გეომეტრიული სურათი. დადგენილია, რომ ისინი განსაზღვრავენ ე. წ. ორისფერულ კოორდინატთა სისტემას ლობაჩევსკის სივრცეში [17,18].

შესწავლილია ყალბი ვაკუუმის დაშლის ალბათობის ერთ-მარყუჟიანი შესწორებები. ნაჩვენებია, რომ შესწორებები მცირდება, როდესაც ვცილდებით თხელ კედლებიან მიახლოებას [103].

აგებულია ლიუვილის თეორიის წვეროს ოპერატორი წვეროს პარამეტრის უარყოფითი მთელი მნიშვნელობებისთვის და გამოთვლილია შესაბამისი კორელაციური ფუნქციები. შედეგი ანალიზურად არის გაგრძელებული პარამეტრის ნებისმიერი მნიშვნელობისთვის და ნაჩვენებია, რომ პარამეტრის მხოლოდ დადებითი მნიშვნელობისთვის იგი ემთხვევა ამ თეორიის შემოთავაზებულ ცნობილ (DOZZ) 3-წერტილოვან კორელაციურ ფუნქციას [49].

დამუშავებულია გარეშე ველების გათვალისწინების ზოგადი მეთოდი რამოდენიმე ნაწილაკის ამოცანაში, სადაც ძლიერი ურთიერთქმედებები ინტეგრალური განტოლებებით აღიწერება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესწავლილია რიგი მნიშვნელოვანი შემთხვევებისა [75,76].

მიღებულ იქნა კვანტური ქრომოდინამიკის რენორმალიზაციური ჯგუფის განტოლების ცხადი ზუსტი ამონახსნები შემოფოტების თეორიის ყველა რიგში უმაღლესი გადახრების სქემებში. ნაპოვნია მეორე რიგის რენორმალიზაციური ჯგუფის განტოლების ცხადი ზუსტი ამონახსნი, რომელიც გამოისახება ლამბერტის ფუნქციის საშუალებით [159].

შესწავლილია მრავალკომპონენტიანი ჰოლის კვანტური სისტემა და გამოკვლეულია შესაბამისი ალგებრული სტრუქტურა არაკომუტაციური გეომეტრიის თვალთახედვით. შესწავლილია შესაბამისი ეფექტური თეორია და გამოკვლეულია ელემენტარული აგებულების სტრუქტურა [31].

ნაპოვნია მართვის გეომეტრიული თეორიის გამოყენება კვანტური გამოთვლების ამოცანებში, კერძოდ, ჰოლონომიური მართვის, ერთგვაროვან სივრცეზე და ლის ჯგუფზე მართვადი სისტემების გამოყენება უნივერსალური კვანტური ოპერაციების ასაგებად. ინტეგრებადი ჰამილტონიანის პერტურბაციით მიღებული გამარტივებული სისტემისათვის ადიაბატურობის თეორემის გამოყენებით აგებულია უნივერსალური ოპერაციები ცხადი სახით. რიცხვითი და ანალიზური მეთოდების გამოყენებით

ე. წ. შებრუნებული ამოცანა ამოხსნილია მოცემული წირისათვის გრასმანის მრავალწილობაზე (და უფრო ზოგადად - ერთგვაროვან სივრცეზე), გამოთვლილია მისი მონოდრომია და პირიქით, მოცემული უნიტარული გარდაქმნისათვის მოძებნილია ისეთი წირი, რომლის მონოდრომია ამ გარდაქმნას იძლევა [125].

**პროექტი № 1.5.02 – K-თეორიის და ჰომოლოგიის თეორიის ზოგიერთი საკითხი**

აგებულია თეორეტიკური და ექსპერიმენტული ჰომოლოგიის ექსპერიმენტები და დადგენილია მათი ძირითადი ფუნქციური თვისებები, მათ შორის ზუსტი ჰომოლოგიური მიმდევრობები, ჰომოლოგიის ფორმულა, კავშირი კლასიკურ ჰომოლოგიასთან, გამოსახვა არააბელური წარმოებული ფუნქციონების საშუალებით [15].

გამოკვლევულია ბივარიანტული K-თეორია ალგებრული K-თეორიის თვალსაზრისით. ტრივიალურად გრადუირებული KK-თეორია აგებულია როგორც ტოპოლოგიური K-თეორიის, ასევე კუილენის K-თეორიისა და კარუბი-ვილიამაიერის K-თეორიის საშუალებით [138].

**პროექტი № 1.6.02 – არაავტონომიურ ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნების ასიმპტოტური თვისებები**

არაავტონომიური წრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის ნაპოვნი პერიოდული ტიპის ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკმარისი პირობები და შესწავლილია ასეთი ამონახსნების ასიმპტოტიკა [146].

პირველი რიგის დაგვიანებული არგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია ამონახსნების რეკურსიული საკმარისი პირობები. მიღებული შედეგები სპეციფიურია დაგვიანებული არგუმენტებიანი განტოლებებისათვის და მათ არ გააჩნიათ ანალოგიები ისეთი განტოლებებისათვის, რომლებიც არ შეიცავენ დაგვიანებებს [38].

მეორე რიგის წრფივი და არაწრფივი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის დადგენილია პერიოდული ამონახსნის არსებობის ოპტიმალური საკმარისი პირობები [164].

**პროექტი № 1.7.02 – ინტეგრალური თეორეტიკები ბანახის ფუნქციურ სივრცეებში და ანალიზურ ფუნქციონალურ სასაზღვრო ამოცანები**

დადგენილია სინგულარული ინტეგრალების შემოსაზღვრულობა წონიან ლებეგის სივრცეებში ცვალებადი მაჩვენებლებით [69].

რისის პოტენციალებისათვის დამტკიცებულია სობოლევის ტიპის თეორემა წონიან სივრცეებში ცვალებადი მაჩვენებლებით [68].

ამოხსნილია კვალის ამოცანა რისის პოტენციალებისათვის წონიან ნაკანოს სივრცეებში [117].

შეფასებულია არაკომპაქტურობის ზომა სინგულარული ინტეგრალებისათვის [87].

დამტკიცებულია, რომ კუბზე ჯამებადი ფუნქციის ჯერადი განუსაზღვრელი ინტეგრალი დიფერენცირებადი თითქმის ყველგან. უფრო მეტიც, მას ძლიერი გრადიენტი აქვს თითქმის ყველგან [19].

დადგენილია კოშის სინგულარული ინტეგრალის შემოსაზღვრულობა წონიან ლებეგის სივრცეებში ცვალებადი მაჩვენებლებით, როცა ინტეგრების წირი ლიპაუნოვის ან სასრული ბრუნვისაა.

ლებეგის სივრცეებში ცვალებადი მაჩვენებლებით გამოკვლეულია სინგულარული ინტეგრალური განტოლებები უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტებით. დადგენილია ფრედჰოლმურობის აუცილებელი და საკმარისი პირობები [70].

შესწავლილია არაჟორდანის არეებზე წრის კონფორმულად ამსახავი ფუნქციის ყოფაქცევა საზღვრის მიდამოში. შედეგი გამოყენებულია მინიმალურ ზედაპირთა გარკვეული სიმრავლეების არასიცარიელის დასადგენად [3].

ანალიზური ფუნქციების სმირნოვის კლასების ანალოგიურად შემოღებულია ჰარმონიული ფუნქციების სათანადო კლასები და ამ კლასებში განხილულია ზარემბას შერეული ამოცანა, ანუ ამოცანა ჰარმონიული ფუნქციის აგების შესახებ, როცა საზღვრის ერთ ნაწილზე მისი მნიშვნელობებია მოცემული, ხოლო დანარჩენ ნაწილზე – ნორმალური წარმოებულის მნიშვნელობები.

**პროექტი № 1.8.02 – კერძოწარმოებულებიან განტოლებათა და სისტემათა ზოგიერთი კლასი**

მეორე რიგის შერეული ტიპის პარაბოლურ-ჰიპერბოლური განტოლებებისათვის კვაზიწრფივი მთავარი ნაწილით დადგენილია ასეირსონისეული საშუალო მნიშვნელობის თვისების არაწრფივი ვარიანტი, რომლის საფუძველზე გამოკვლეულია არალოკალური მახასიათებელი ამოცანა [128].

მეორე რიგის წრფივი ჰიპერბოლური განტოლებისათვის ტალღის თეორიით მთავარ ნაწილში ორი დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში შესწავლილია ერთი არალოკალური ამოცანა [54].

სიბრტყესა და სივრცეში შესწავლილია მეორე და მაღალი რიგის ზოგიერთი კლასის წრფივი კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების სტრუქტურული თვისებები. ცხადი სახითაა აგებული ლაპლასის ინვარიანტები. შესწავლილია გარკვეული აზრით მათი დამოუკიდებლობის საკითხი, და აგრეთვე ჰიპერბოლურ თეორატორთა დაშლისა და ელიფსურ და პარაბოლურ თეორატორთა კანონიკურთან ახლოს მდებარე ფორმით წარმოდგენადობის საკითხები [133].

პროექტი № 1.9.02 – მაღალი რიგის კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები კლიფორდის ანალიზში

შესწავლილია მაღალი რიგის კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები კლიფორდის ანალიზში.

პროექტი № 1.10.02 – სტოქასტური ანალიზი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ირიბი პროექციის ტექნიკის გამოყენებით აგებულია განზოგადებული M-შეფასების ეფექტური შეფასება ხელშემშლელი პარამეტრის არსებობის პირობებში [80].

შესწავლილია რობინს-მონროს ტიპის განტოლების ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაქცევა [79].

შესწავლილია შექცეული სტოქასტური კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლება და აგებულია თბტიმალური ჰეჯი არასრულყოფილი ჰეჯირების ამოცანაში [83].

მოცემულია q-თბტიმალური და მინიმალური ენტროპიის მარტინგალური ზომების ერთობლივი დახასიათება [82].

პროექტი № 1.11.02 – წრფივ დინამიურ სისტემათა მოდულების სივრცის ტოპოლოგია

წარმოდგენილია ფართო კლასი სასრულგანზომილებიანი ლის ალგებრებისა, რომელთაც აქვთ კომუტაციური პოლარიზაცია. ამოხსნადი ლის ალგებრების შემთხვევაში მოცემულია მათი დახასიათება. მარტივი ლის ალგებრებისთვის აღწერილია კარგი გრადუირებები [25].

პროექტი № 1.12.02 – პროექციულ-იტერაციული და სასრულ-სხვაობიანი მეთოდები

ელიფსური სასაზღვრო ამოცანებისათვის გამოკვლეულია პროექციულ-იტერაციული მეთოდების მდგრადობის საკითხი [22].

პროექტი № 1.13.02 - მყარ სხეულთა და სითხეთა მოძრაობების მდგრადობის არაწრფივი ამოცანები

გამოკვლეულია ორ ფორთვან ცილინდრს შორის მოთავსებული სითხის დინების მდგრადობის ამოცანა, როდესაც დინებაზე მოქმედებს წნევის გრადიენტი ტრანსვერსალური მიმართულებით. დადგენილია სტაციონარული ბიფურკაციის წარმოქმნის საკმარისი პირობები და აგრეთვე ის პირობები, რომლის დროსაც წარმოქმნებიან სხვადასხვა პერიოდის მქონე რხევითი რეჟიმები [167].

პროექტი № 1.14.02 – წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანა ზოგიერთი გახსნილი რეგულარული წირის შემთხვევაში

შესწავლილია სასაზღვრო ამოცანა წყვეტილი დასმით გახსნილი რეგულარული წირის და უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტის შემთხვევაში. აგებულია კანონიკური ფუნქცია.

პროექტი № 1.15.02 – “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” და ჟურნალ “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სარედაქციო სამუშაოები და ორიგინალ-მაკეტების მომზადება

2003 წელს გამოვიდა “საქართველოს მათემატიკური ჟურნალის” 4 ნომერი. გამოვიდა ჟურნალის “მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში” სამი ტომი: 28-ე, 29-ე და 30-ე.

### 1.3. საზღვარგარეთული გრანტებით შესრულებული სამუშაოები

აგებულია სასაზღვრო ამოცანათა თეორია წრფივ ფუნქციონალურ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის [2]. ტალღის განტოლებისათვის ერთი და ორი სივრცითი ცვლადის შემთხვევაში განხილულია და შესწავლილია ზოგიერთი არალოკალური ამოცანა [54]. გამოკვლეულია გურსას მახასიათებელი ამოცანა თავისუფალი მახასიათებლით მეორე რიგის პარაბოლურად გადაგვარებადი ჰიპერბოლური არაწრფივი განტოლებებისათვის [40] (INTAS Grant No. 00136: “Systems of quasilinear partial differential equations and inequalities. Existence and nonexistence of solutions”).



მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის მიღებულია ე. წ. გარდამავალი ამონახსნების არსებობის გარკვეული აზრით ობტიმალური საკმარისი პირობები [160] (Research Grant of the Italian Ministry of Foreign Affairs for Young Scientists - P.A. 31524/02).

გამოკვლეულია ზოგიერთი არალოკალური სასაზღვრო ამოცანა მაღალი რიგის სინგულარული ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის (GRDF Grant No. 3318 (Award under the Georgian-U.S. Bilateral Grants Program): “Singular boundary value problems for ordinary differential equations and for partial differential equations of hyperbolic type”).

გამოკვლეულია ელექტროდრეკადობის დირისლესა და ნეიმანის ტიპის რხევის შიდა სასაზღვრო ამოცანები. დამტკიცებულია არსებობის თეორემები და დადგენილია საკუთრივი სინშირეების განაწილების ასიმპტოტიკა [111] (Grant of DFG, German-Georgian cooperation project No. 436 GEO 113/8/0-1: “Piezoelectricity in composites - investigation on piezoelectric stack actuators”).

სიმპლიციურ სიმრავლეთა დახმარებით აგებულია ფაქტორიზაციული სისტემებისა და რადიკალების ერთიანი თეორია. უნივერსალურ-ალგებრული იდეალთა თეორია გავრცელებულია ნახევრად-აბელურ და უფრო ზოგად კატეგორიებზე. დასრულებულია ტოპოლოგიურ სივრცეთა ლოკალური ჰომომორფიზმების აღწერა ულტრაფილტრების კრებადობის ენაზე [42-44] (INTAS Grant No. 97-31961: “Algebraic homotopy, Galois theory and descent”).

დამტკიცებულია, რომ კასპაროვის მოდელების ჰომოლოგიის, ციკლური და პერიოდული ჰომოლოგიები ტრივიალურია. დამტკიცებულია, რომ კასპაროვის მოდელების კატეგორიის ალგებრული და ტოპოლოგიური  $\text{mod } p$   $K$ -თეორიები იზომორფულია [52,138] (INTAS Grant No. 566: “Algebraic  $K$ -theory, groups and algebraic homotopy theory”).

აგებულია და შესწავლილია ჯგუფების ექვივარიანტული ჰომოლოგიისა და კოჰომოლოგიის ჯგუფები. დადგენილია კავშირი ალგებრულ  $K$ -თეორიასთან, ექვივარიანტულ კოჰომოლოგიასთან და ტეიტის კოჰომოლოგიასთან [129] (Grant of Swiss National Science Foundation No. 7GEPJ06551301: “ $K$ -theory and homotopical algebra”).

შემოტანილია ჯგუფებში მნიშვნელობებით ფუნქტორების  $n$ -ჯერადი ჩეხის წარმოებული ფუნქტორების ცნება და გამოკვლეულია მათი კავშირი არააბელურ წარმოებულ ფუნქტორებთან. აგებულია და შესწავლილია ლის ალგებრების არააბელური ჰომოლოგიები კოეფიციენტებით ნებისმიერ ლის ალგებრაში. აგებულია ლის ალგებრის არააბელური მეორე კოჰომოლოგია კოეფიციენტებით ჯვარედინ მოდელებში და გენის არააბელური კოჰომოლოგიების ექვსწევრა ზუსტი მიმდევრობა გაგრძელებულია ცხრა წევრამდე [130-132] (NATO Grant No. SA(PST.CLG.979167) 6774/FT: “Homotopical algebra and (co)homology of groups, algebras and crossed modules”).

აგებულია სიმპლიციალური სიმრავლეებიდან კუბურ სიმრავლეებში მგრეს ასახვათა თეორია, რომლის მეშვეობითაც აგებულია მარყუჟთა სივრცეებისა და გზათა სივრცეების მოდელები [136] (CRDF Grant No. GM1-2083: “New aspects of obstruction and cobordism theories”; INTAS Grant No. 99-00817: “Linear algebraic groups and related linear and homological structures”).

მიღებულია 3-განზომილებიან მრავალსახეობებზე განსაზღვრული მრგვალი ფუნქციების ტოპოლოგიური კლასიფიკაცია [59] (INTAS Grant No. 00-259: “Singularity theory and its applications”).

მიღებულია მინიმალური ენტროპიის მარტინგალური ზომის სიმკვრივის ცხადი წარმოდგენა შესაბამისი მართვის ამოცანის ფასის ტერმინებში [81]. შესწავლილია საშუალო კვადრატული აზრით ობტიმალური სტრატეგიის სტრუქტურა მარჯვნიდან უწყვეტი ინფორმაციული ნაკადის შემთხვევაში [84]. (INTAS Grant No. 99-00559: “Stochastic analysis and related topics”).

გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა 2003 წელს მოიბოვეს შემდეგი გრანტი:

Research Grant of the Government of Italy: “Modelli Matematici e Numerici per le Applicazioni”.

2. 2003 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ (იხ. დანართი 1)
3. 2003 წლის საგამომცემლო საქმიანობა (იხ. დანართი 2)
4. თანამშრომელთა მიერ 2003 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა (მონოგრაფია, წიგნი, კრებული) სია (იხ. დანართი 3)
5. 2003 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული შრომები (იხ. დანართი 4)
6. სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებების თეზისები (იხ. დანართი 5)
7. საქართველოს სამეცნიერო თანამშრომლობა (იხ. დანართი 6)

**8. ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა**

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხები. ჩატარდა ასპირანტებისა და მაძიებლების ყოველწლიური ატესტაცია.

ინსტიტუტთან არსებულ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზირებულ საბჭოზე (სადისერტაციო საბჭო Ph.M.01.01 №1) დაცულ იქნა ერთი სადოქტორო და ერთი საკანდიდატო დისერტაცია.

ინსტიტუტში მუშაობდა 8 სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო სემინარი.

საანგარიშო პერიოდში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ინსტიტუტის თანამშრომელმა ლ. ეფრემიძემ, ხოლო საკანდიდატო – ინსტიტუტის თანამშრომელმა დ. კაპანაძემ.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტის ბიბლიოთეკა შეივსო 325 ბეჭდვითი ერთეულით (279 ჟურნალი და 46 წიგნი). 2003 წლის 31 დეკემბრისათვის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდში არის 94159 ბეჭდვითი ერთეული, აქედან 63422 უცხოური ჟურნალი და 30737 წიგნია.

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის  
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

2003 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

№	ღონისძიების დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა		ჩატარების დრო (თვე, რიცხვი)	შენიშვნა
		სულ	მათ შორის უცხო ქვეყნებიდან		
1.	საერთაშორისო კონფერენცია “ფუნქციათა სივრცეების, დიფერენციალური ოპერატორებისა და არაწრფივი ანალიზის თანამედროვე ასპექტები”	32	12	სექტემბერი, 8-13	ჩატარდა ISPM-ის პროგრამით; კონფერენციაზე განხილულ იქნა ფუნქციათა სივრცეების უაღრესად აქტუალური პრობლემები, რომლებიც ბოლო დროს დაისვა გამოყენებით საკითხებში (უკუშეგად სითხეთა დინება, ელექტროჰელოლოგიის თეორია, უწყვეტ ტანთა მექანიკა). წარმოდგენილი შედეგები მისცემს იმპულსს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციათა სივრცეების (მაგალითად, ლეზევის სივრცეები ცვალებადი მაჩვენებლებით) და მათში მოქმედი ინტეგრალური ოპერატორების თეორიის შემდგომ განვითარებას.
2.	ა. კოლმოგოროვის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია “ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა”	53	33	სექტემბერი, 21-27	ჩატარდა ISPM-ის პროგრამით
3.	აკადემიკოს ვ. კუზნაძის დაბადებიდან 100 წლისთავისა და აკადემიკოს ნ. გეგუას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში – DEMPh-2003	51	—	დეკემბერი, 24-25	

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2003 წლის  
საგამომცემლო საქმიანობა

№	ჟურნალის დასახელება	რედაქტორი	გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი
1.	<b>“Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 131</b> (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი
2.	<b>“Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 132</b> (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი
3.	<b>“Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute”, vol. 133</b> (ინგლისურ ენაზე)	ვ. კოკილაშვილი	გამომცემლობა “ჯისიაი”, თბილისი

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის  
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაწმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ  
2003 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

№	ნაშრომის დასახელება (მონოგრაფია, წიგნი, კრებული)	ავტორი	გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი
1.	“სასაზღვრო ამოცანები წრფივ ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის” (ინგლისურ ენაზე)	ი. კილურაძე და ბ. პუჟა	გამომცემლობა “Masaryk University”, ბრნო
2.	“ბზართა თეორია და წიბური სინგულარობები” (ინგლისურ ენაზე)	დ. კაპანაძე და ბ. გ. შულცე	გამომცემლობა “Kluwer Academic Publishers”, დორდრეხტი–ბოსტონი– ლონდონი

ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ი. კილურაძე

სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის  
მეცნიერებათა კანდიდატი

ნ. ფარცვანია

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

2003 წელს გამოქვეყნებული შრომების სია

(i) მონოგრაფიები

1. D. Kapanadze and B.-W. Schulze, Crack theory and edge singularities. *Kluwer Academic Publishers, Dordrecht-Boston-London*, 2003.
2. I. Kiguradze and B. Puža, Boundary value problems for systems of linear functional differential equations. *Masaryk University, Brno*, 2003.

(ii) სამეცნიერო სტატიები

3. R. Abdulaev, On one theorem of S. Warschawski. *Georgian Math. J.* **10** (2003), No. 1, 1-15.
4. M. Bakuradze, M. Jibladze, and V. V. Vershinin, Characteristic classes and transfer relations in cobordisms. *Proc. Amer. Math. Soc.* **131** (2003), No. 6, 1935-1942.
5. M. Bakuradze and S. Priddy, Transfer and complex oriented cohomology rings. *Algebr. Geom. Topol.* **3** (2003), 473-509 (electronic).
6. F. W. Bauer and T. Datuashvili, Closed model category structures on the category of chain functors. *Topology Appl.* **131** (2003), No. 2, 101-128.
7. G. Berikelashvili, On a nonlocal boundary-value problem for two-dimensional elliptic equation. Dedicated to Raytcho Lazarov. *Comput. Methods Appl. Math.* **3** (2003), No. 1, 35-44 .
8. G. Berikelashvili, On the convergence rate of a difference solution of a nonlocal boundary value problem for an elliptic equation. (Russian) *Differentsial'nye Uravneniya* **39** (2003), No. 4, 896-903.
9. D. Bourn and G. Janelidze, Characterization of protomodular varieties of universal algebras. *Theory Appl, Categ.* **11** (2003), No. 6, 143-147.
10. W. Bruns and J. Gubeladze, Divisorial linear algebra of normal semigroup rings. *Algebr. Represent. Theory* **6** (2003), 139-168.
11. W. Bruns and J. Gubeladze, Higher polyhedral K-groups. *J. Pure Appl. Algebra* **184** (2003), 175-228.
12. T. Buchukuri, O. Chkadua, and R. Duduchava, Crack-type boundary value problems of electroelasticity. *Integral Equations Operator Theory* **47** (2003), No. 4, 417-441.
13. I. Bukhnikashvili, An approximate solution of linear algebraic equations with a matrix spectrum lying on two segments. *Bull. Georgian Acad. Sci.* **168** (2003), No. 3, 404-407.
14. A. Carboni and G. Janelidze, Smash product of pointed objects in lextensive categories. *J. Pure Appl. Algebra* **183** (2003), 27-43.
15. A. M. Cegarra and H. Inassaridze, Homology of groups with operators. *Intern. Math. J.* **4** (2003), No. 6.
16. O. Chkadua, Solvability and asymptotics of solutions of crack-type boundary-contact problems of the couple-stress elasticity. *Georgian Math. J.* **10** (2003), No. 3, 427-465.
17. L. Chkaidze, V. Garsevanishvili et. al., The analysis of pi-meson spectra in semicentral CC and CTa-collisions at a momentum of 4.2 GeV/c per Nucleon in terms of light front variables. *JINR Communications*, E1-2003-67, *Dubna*, 2003, 21 pp.
18. L. Chkaidze, V. Garsevanishvili et. al., Light front variables in high energy hadron-hadron and nucleus-nucleus collisions. *Phys. Part. Nucl.* **34** (2003), 526.
19. O. Dzagnidze and G. Oniani, On one analogue of Lebesgue theorem on the differentiation of indefinite integral for functions of several variables. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **132** (2003), 139-140.
20. O. Dzagnidze and G. Oniani, On one analogue of Lebesgue theorem on the differentiation of indefinite integral for functions of several variables. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **133** (2003), 1-5.
21. A. Dzhishkariani, The Galerkin-Petrov method with iterations. (Russian) *Zh. Vychisl. Mat. Mat. Fiz.*, 2003, No. 8, 71-87.
22. A. Dzhishkariani and A. Svanadze, One version of Galerkin-Petrov's method with iterations. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **132** (2003), 71-89.

23. D. E. Edmunds and V. Kokilashvili, On Fourier multipliers. *J. Anal. Appl.* **1** (2003), No. 3, 143-155.
24. D. E. Edmunds and A. Meskhi, On a measure of non-compactness for maximal operators. *Math. Nachr.* **254/255** (2003), 97-106.
25. A. G. Elashvili and A. I. Ooms, On commutative polarizations. *J. Algebra* **264** (2003), 129-154.
26. M. Eliashvili and G. Tsitsishvili, Area preserving transformations in noncommutative space and NCCS theory. *Eur. Phys. J. C* **32** (2003), 135-140.
27. L. Ephremidze, On the ergodic maximal equality. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **132** (2003), 89-92.
28. L. Ephremidze, On a relationship between the integrabilities of various ergodic maximal functions. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **132** (2003), 141-142.
29. L. Ephremidze, The generalization of Stein-Weiss Theorem for the ergodic Hilbert transform. *Studia Math.* **155** (2003), No. 1, 67-75.
30. L. Ephremidze, G. Janashia, and E. Lagvilava, On spectral factorization algorithm for polynomial matrix-functions. *SIAM J. Appl. Math.* **29** (2003), No. 1.
31. Z. F. Ezawa, G. Tsitsishvili and K. Hasebe, Noncommutative geometry, extended  $W_\infty$  algebra and Grassmannian solitons in multicomponent quantum Hall systems. *Phys. Rev. B* **67** (2003), 125314-125329.
32. A. Gachechiladze, About generalization of one quasi-variational inequality. *Bull. Georgian Acad. Sci.* **167** (2003), No. 3.
33. R. Gachechiladze, Exterior problems with friction in the couple-stress elasticity. *Proc. A. Razmadze Math. Inst.* **133** (2003), 21-35.
34. Z. Giunashvili et. al., Noncommutative geometry of phase space. *J. Math. Sci.* **18** (2003), No.6; math-ph/0203027.
35. A. Gogatishvili and L. Pick, Discretization and antidiscretization of rearrangement-invariant norms. *Publ. Mat.* **47** (2003), No.2, 311-358.
36. A. Gogatishvili and T. Sobukawa, On the extrapolation estimates. *Math. Inequal. Appl.* **6** (2003), No. 1, 97-104.
37. M. K. Grammatikopoulos, R. Koplatadze and G. Kvinikadze, Linear functional differential equations with Property A. *J. Math. Anal. Appl.* **284** (2003), No. 1, 294-314.
38. M. K. Grammatikopoulos, R. Koplatadze, and I. P. Stavroulakis, On the oscillation of solutions of first order differential equations with retarded arguments. *Georgian Math. J.* **10** (2003), No. 1, 63-76.
39. J. Gubeladze, Higher K-theory of toric varieties. *K-Theory* **28** (2003), 285-327.
